

## 2012 წლიდან 2021 წლამდე ბაღდათში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები

ბაღდათის მუნიციპალიტეტში, 2012 წლიდან დღემდე, დაახლოებით 75 950 000 ლარის ღირებულების, 301 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

- 2014-2017 წლებში საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაფინანსებით განხორციელდა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი (სალორია) - ბაღდათი - აბასთუმანი - ბენარას საავტომობილო გზის 3კ-6 3კ-21 რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება 10 166 527 ლარი.
- აწარმოე საქართველოს დაფინანსებით შპს პრესტიჟლანდ გეორგიამ ბაღდათის მუნიციპალიტეტში, სოფელ ზედა დიმში მტკნარი და მინერალური წყლის საწარმო შექმნა, რომლის ღირებულება 2 მლნ ლარზე მეტია
- მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით 2018-2019 წლებში განხორციელდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ მეორე ობჩის და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფ როდინოულის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია პროექტის ღირებულებაა 2 689 969 ლარი
- ეკონომიკის სამინისტროს დაფინანსებით 2018-2019 წლებში განხორციელდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფლების ნერგეთის, წყალთაშვას, დაფენილის, წაბლარას ხევის, ვარციხის გაზიფიცირება აღნიშნულ პროექტზე 3,5 მლნ ლარი დაიხარჯა.
- მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით 2019-2020 წლებში განხორციელდა ზესტაფონისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტების სოფლების ცხენთარო-აჯამეთი-ვარციხის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია პროექტის ღირებულებაა 5 372 700 ლარი
- საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაფინანსებით მიმდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი (სალორია) - ბაღდათი - კაკასხიდი- ზეკარი - აბასთუმანი - ბენარას საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. პროექტის ღირებულება 42 მლნ ლარზე მეტია

- 2020 წელს იუსტიციის სამინისტროს დაფინანსებით ქ. ბაღდათში აშენდა საზოგადოებრივი ცენტრი, რომელიც ბაღდათის მუნიციპალიტეტის მოსახლეობს მოემსახურება სხვადასხვა სერვისებით.
- საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაფინანსებით 2020-2021 წლებში განხორციელდა ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარციხიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთამდე მისასვლელი საავტომობილო გზის 1.5 კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები. პროექტის ღირებულებაა 1 316 996 ლარი.
- საავტომობილო გზების დაფინანსებით 2020-2021 წლებში ხორციელდება ბაღდათის მუნიციპალიტეტში, მდინარე ხანისწყალზე არსებული ექვსი სოფლის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდისა და მასთან მისასვლელი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის სამშენებლო სამუშაოები. პროექტის ღირებულებაა 1 941 605 ლარი.
- საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიზნეს განვითარების და ტურიზმის მომსახურების ცენტრის სარეაბილიტაციო/სარეკონსტრუქციო სამუშაოები. პროექტის ღირებულებაა 993 993 ლარი
- ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარციხეში, შპს „აგროლეინის“ თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საწარმო სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა. საწარმოში, ჯამურად, 2 მლნ ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, 419,397 ლარი გრანტია, ხოლო 522,495 ლარი შეღავათიანი აგროკრედიტი. საწარმოს წლიური წარმადობა 300 ტონამდე ლურჯი მოცვის გადამამუშავებაა. პროდუქციის რეალიზაცია როგორც ადგილობრივ, ასევე საექსპორტო ბაზრებზე ხდება. საწარმოში, სეზონზე, 28 ადგილობრივია დასაქმებული
- განახლებული რეგიონების პროგრამის ფარგლებში ქ. ბაღდათში მიმდინარეობს ა. წერეთლის ქ. #14 კორპუსი ორსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადების რეაბილიტაცია
- 2021 წელს რეგ ფონდის დაფინანსებით ბაღდათის მუნიციპალიტეტში ხორციელდება 5 მლნ ლარის ღირებულების სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტები.